

სტუდენტური აკადემიის დებულება

მუხლი 1. სტუდენტური აკადემიის მიზანი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) სტუდენტური აკადემია წარმოადგენს სტუდენტთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც მოქმედებს თსა-ს მარეგულირებელი დოკუმენტების ფარგლებში, წინამდებარე დებულების შესაბამისად. იგი იქმნება სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის, სტუდენტური ინიციატივების წახალისებისა და ხელშეწყობის და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების/შენარჩუნების მიზნით.

მუხლი 2. სტუდენტური აკადემიის და კომიტეტების შექმნის პროცედურა

- 2.1 სტუდენტური აკადემია იქმნება სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ თსა-ს რექტორის სახელზე შესაბამისი განცხადების და დებულების პროექტის წარდგენის გზით. განაცხადში დეტალურად განისაზღვრება სტუდენტური აკადემიის კომიტეტების საქმიანობის მიზნები, მიმართულებები და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა პირადი მონაცემების მითითებით.
- 2.2 სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი შედგება არანაკლებ 4 წევრისგან.
- 2.3 სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტ(ებ)ით, სათანადო რეაგირებისთვის, გადაეცემა თსა-ს რექტორს, რომელიც შესაბამის სამსახურ(ებ)თან ერთად განიხილავს წარდგენილ დოკუმენტებს და ამტკიცებს მას.
- 2.4 სტუდენტური აკადემიის შემადგენლობაში შედის ყველა კომიტეტის ყველა წევრი.
- 2.5 კომიტეტის ხელმძღვანელს ირჩევენ კომიტეტის წევრები ხმათა უმრავლესობით.
- 2.6 სტუდენტური აკადემიის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით და წერილობითი ფორმით წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად.

მუხლი 3. სტუდენტური აკადემიის კომიტეტები

- 3.1 დაფუძნების პროცესში სტუდენტური აკადემიის კომიტეტებია:
 - 3.1.1 ჯანდაცვისა და სოციალური აქტივობის კომიტეტი;
 - 3.1.2 განათლების კომიტეტი;
 - 3.1.3 კვლევის კომიტეტი;
 - 3.1.4 სპორტისა და კულტურის კომიტეტი.
- 3.2 ჯანდაცვისა და სოციალური აქტივობის კომიტეტის მიზნებია:
 - 3.2.1 სტუდენტებს შორის ჯანდაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
 - 3.2.2 საზოგადოებაში ჯანდაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი პროექტების განხორციელების გზით;
 - 3.2.3 სოციალური აქტივობების განხორციელების გზით, ახალგაზრდებისთვის მავნე ჩვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მათიგავრცელების პრევენციის მიზნით;
- 3.3 განათლების კომიტეტის მიზნებია:
 - 3.3.1 სტუდენტთა განათლების ხარისხისა და ცნობიერების ამაღლება;
 - 3.3.2 არაფორმალური განათლების მიმართულების განვითარება/გამდიერება;

3.3.3 მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა;

3.4 კვლევის კომიტეტის მიზნებია:

3.4.1 სტუდენტებს შორის კვლევის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

3.4.2 სტუდენტური კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა თსა-ს სამეცნიერო-კვლევით სამსახურთან ერთად;

3.5 სპორტისა და კულტურის კომიტეტი:

3.5.1 სტუდენტთა თავისუფალი დროის ორგანიზების და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა შესაბამისი პროექტების მომზადებით და განხორციელებაში მონაწილეობით;

3.5.2 სტუდენტებს შორის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გაღრმავების მიზნით პროექტების შემუშავება და განხორციელებაში მონაწილეობა;

3.5.3 ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების მიზნით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შესაბამისი პროექტების მომზადება.

3.5.4 სხვადასხვა შემოქმედებითი ნიჭის მქონე სტუდენტების გამოვლენა და მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა;

3.5.5 მსოფლიო კულტურული ტენდენციების სტუდენტებისათვის გაცნობის ხელშეწყობა.

მუხლი 4. კომიტეტების დამატება/გაუქმება

4.1 კომიტეტის წევრობა ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს; მისი წევრი შესაძლოა გახდეს ნენისმიერი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელიც იზიარებს კომიტეტის მიზნებს და საქმიანობის პრინციპებს.

4.2 კომიტეტების შექმნა ხორციელდება ინტერესთა სფეროების შესაბამისად.

4.3 კომიტეტის დამფუძნებელი/წევრი შესაძლოა იყოს მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

4.4 კომიტეტის შექმნისას განცხადების წარდგენა ხდება სტუდენტური აკადემიის სახელზე. განცხადებაში მიეთითება კომიტეტის მიზნები, დაგეგმილი აქტივობები და ინფორმაცია (სახელი, გვარი, პირადი/პასპორტის ნომერი) მისი წევრების შესახებ (რომელიც არ უნდა იყოს 4-ზე ნაკლები).

4.5 კომიტეტის მართვას ახორციელებენ მისი წევრები.

4.6 თითოეული კომიტეტი ვალდებულია, მიზნებიდან გამომდინარე, განახორციელოს თვეში მინიმუმ ერთი აქტივობა. კომიტეტის მიერ 2 თვის განმავლობაში საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში, სტუდენტური აკადემია იღებს გადაწყვეტილებას მისი გაუქმების შესახებ.

4.7 კომიტეტის სახელის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტური აკადემიის (კომიტეტის სახელი)“.

მუხლი 5. მოთხოვნები კომიტეტის დამფუძნებლების/წევრების მიმართ

კომიტეტის დამფუძნებელი/წევრი არ შეიძლება ამავდროულად იყოს სხვა კომიტეტის დამფუძნებელი/წევრი. წინამდებარე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მას უწყდება კომიტეტის წევრის სტატუსი ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

მუხლი 6. კომიტეტის ვალდებულებები პროექტის/აქტივობის განხორციელებისას

- 6.1 თითოეული კომიტეტი პროექტებს/აქტივობებს ახორციელებს პროფილიდან გამომდინარე, მიზნების შესაბამისად. ყველა განხორციელებულ აქტივობაში უნდა ფიგურირებდეს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია. აქტივობები უნდა ტარდებოდეს კომიტეტის თითოეული წევრის აქტიური ჩართულობით. კომიტეტის მიერ, პროექტის განხორციელებისათვის კურსდამთავრებულის ან სხვა პირის მოწვევის შემთხვევაში, წარდგენილ განცხადებაში/პროექტში მიეთითება მათი ვინაობა და რაოდენობა.
- 6.2 კომიტეტები უფლებამოსილნი არიან ერთობლივად განახორციელონ პროექტი/აქტივობა.
- 6.3 კომიტეტები ვალდებული არიან განსახორციელებელი პროექტის/აქტივობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელონ თსა-ში წინასწარ.
- 6.4 თითოეული პროექტის/აქტივობის დასრულების შემდგომ, კომიტეტი თსა-ს რექტორს წარუდგენს წერილობით მოხსენებას და ფოტო/ვიდეო მასალას პროექტის/აქტივობის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა.
- 6.5 კომიტეტების თხოვნის საფუძველზე, თსა-ს ტერიტორიაზე უცხო პირთა დაშვება და შესაბამისი რესურსებით სარგებლობა ხორციელდება რექტორის გადაწყვეტილებით.
- 6.6 პროექტის განხორციელებისას, კომიტეტი ვალდებულია წინასწარ გაითვალისწინოს შესაბამისი რესურსები და მობილიზება გაუკეთოს მათ. პროექტის დასრულების შემდგომ, უზრუნველყოს გამოყენებული რესურსების აღრიცხვა და ადმინისტრაციისთვის მიწოდება.

მუხლი 7. სანქციები

- 7.1 კომიტეტის წევრთა მიერ წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დარღვევა, მათ შორის თსა-ს მიერ გამოყოფილი რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა, დოკუმენტაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის ასახვა, იწვევს სანქციის დაკისრებას.
- 7.2 სანქციის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი:
 - 7.2.1 გაფრთხილება;
 - 7.2.2 საქმიანობის უფლების შეჩერება ერთიდან სამ თვემდე;
 - 7.2.3 წევრობის შეწყვეტა.
- 7.3 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სანქციის დაკისრებისას, მისი მოქმედების პერიოდში, კომიტეტის წევრი არ არის უფლებამოსილი დააფუძნოს სხვა კომიტეტი ან გაწევრიანდეს მასში.

მუხლი 8. სტუდენტური აკადემიის ძირითადი ფუნქციები

- 8.1 სტუდენტური აკადემია, უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
 - 8.1.1 სტუდენტური აკადემიის ორგანიზებული, გამართული და ნაყოფიერი მუშაობის ხელშეწყობა;
 - 8.1.2 სტუდენტური აქტივობების შესახებ ინფორმაციის დროული და ეფექტური გავრცელება;
 - 8.1.3 კომიტეტების მიერ მოხსენებების წარდგენის და საიტზე დროულად განთავსების კოორდინაცია;

- 8.1.4 სტუდენტებთან პერიოდული შეხვედრების ორგანიზება სტუდენტური აკადემიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით;
 - 8.1.5 ახალი კომიტეტებისთვის კონსულტაციების გაწევა;
 - 8.1.6 სტუდენტური აკადემიის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება თსა-ს ვებგვერდზე (თსა-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან ერთად).
- 8.2 სტუდენტური აკადემიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს თსა-ს ბიუჯეტი, ნებაყოფლობითი შემოწირულობები, მესამე პირ(ებ)ის მიერ გადმოცემული ქონება (რომლის მართვაც ხორციელდება თსა-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით) და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.
- 8.3 სტუდენტური აკადემია თავის ფუნქციებს ახორციელებს წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად. მიღებულ გადაწყვეტილებებს დასამტკიცებულად წარუდგენს თსა-ს რექტორს.